



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000024176832919

№ 26-ი

07 / ივნისი / 2019 წ.

განკარგულება

დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და განაშენიანების კონცეფციის შემუშავების მიზნით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობის საჭიროების დადგენისა და ამ დაწესებულებებში ჯგუფების რაოდენობის განსაზღვრისათვის, საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიქმნას მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობის მოკვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

შეიქმნას საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი.

მუხლი 2

სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს სამი თვით.

მუხლი 3

სამუშაო ჯგუფი არჩეულ იქნას შემდეგი შემადგენლობით:

- ა) თავმჯდომარე - სალომე ლონღაძე;
- ბ) წევრები: გიორგი ენუქიძე, თმარი მირზოშვილი, ნინო კუპრაშვილი, ეკატერინე იობაშვილი, ვახტანგ ჭიპაშვილი, ალექსანდრე ბაინდურაშვილი, მარიანა გელაშვილი, გიორგი ლამბაშიძე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:

ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემტრონულად



კარლო ჯამბურია